

აუდიტორული დასკვნა №18/2010

ინდივიდუალურმა აუდიტორმა იური ახალაძემ, რომელიც აუდიტორულ საქმიანობას ეწევა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2008 წლის 16 ივნისს გაცემული №4/515 სერტიფიკატის საფუძველზე ჩავატარე „სტუდენტურ ახალგაზრდული სათათბიროს“ (ს/კ 237093104) ბუღალტრული ბალანსის აუდიტი 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების აუდიტი.

საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ მე-14 მუხლის თანახმად პასუხისმგებლობა ბუღალტრული და საფინანსო ანგარიშგების სწორად შედგენისა და მათი მომხმარებლისათვის წარდგენაზე ეკისრება კავშირის ხელმძღვანელობას.

ჩვენ გვევალება გამოვთქვათ მოსაზრება მოცემული ბუღალტრული ანგარიშგების შესახებ არსებით ასპექტში ჩატარებული აუდიტის საფუძველზე.

აუდიტს წარმართავდი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც მოითხოვს აუდიტის იმგვარ დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა ანგარიშგება არსებით უზუსტობას. აუდიტით გათვალისწინებულია მტკიცებულებების შემოწმება ტესტირების საფუძველზე ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი ასევე გულისხმობს კავშირის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად.

კავშირს აღნიშნულ პერიოდში სამეწარმეო საქმიანობა არ განუხორციელებია გარდა ზემოთ აღნიშნულისა, გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

ჩემი აზრით, წარმოდგენილი ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კავშირის ფინანსურ მდგომარეობას 2009 წლის 31 დეკემბრისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტორი  ი.ახალაძე



18.06.2010წ  
ქ. ოზურგეთი